ხელშეკრულება N1/39

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ. ასპინძა 27 აგვისტო 2018 წელი

საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში(საოლქო საარჩევნო კომისიის დაფინანსების ხარჯიდან), გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით (CPV 9100000) ერთის მხრივ N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია წარმოდგენილი თავმჯდომარის ნიკოლოზ ლოლაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს "იბერკომპანი " წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა კიკალეიშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ტალონური სისტემის მეშვეობით "მიმწოდებლის" ავტოგასამართ სადგურებზე "შემსყიდველისათვის" საავტომობილო საწვავის საერთო რაოდენობით 460 (ოთხას სამოცი) ლიტრი, მათ შორის 300 (სამასი) ლიტრი ბენზინისა (ევრო რეგულარი) და 160 (ას სამოცი) ლიტრი დიზელის საწვავის მიწოდება.

2. საქონლის ღირებულება და აღწერილობა

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს (მათ შორის დღგ) 1002.80 (ათას ორი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

2.2 ერთეულის ფასი და შესყიდვის ობიექტის აღწერილობა : ერთი ლიტრი ევრო რეგულარის ფასი შეადგენს -2.18 ლარს და ერთი ლიტრი დიზელის ფასი შეადგენს - 2.18 ლარს.

2.3 საწვავის ტალონი - ეს არის აუცილებელი რეკვიზიტების მქონე დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს "შემსყიდველისათვის" საწვავის მიწოდების ვალდებულებას. ტალონზე აღნიშნულია შემდეგი რეკვიზიტები: ა) ტალონის ნომერი; ბ) "მიმწოდებლის" სახელწოდება (საიდენტიფიკაციო ნომრით); გ) საწვავის მარკა; დ) საწვავის რაოდენობა; აუცილებელი რეკვიზიტების გარეშე წარმოდგენილი ტალონი "მიმწოდებლის" მიერ არ მიიღება.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთი დღის ვადაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილი: "მიმწოდებლის" კანონიერ მფლობელობაში არსებული ავტოგასამართი სადგურები.

5. ხარისხი/გარანტია

5.1 "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენიდან სამი სამუშაო დღის ვადაში..

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

6.4 კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომლესაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 298-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2 შემსყიდველი იღებს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0,1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.3 მიმწოდებელი იღებს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ. ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი. ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ: ა) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში. გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადოს საქონელი. კონტროლს ახორციელებს №39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის ინსპექტირების ჯგუფი.

12.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4 ხელისმომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს - მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 სექტემბრამდე.

15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
№39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია	შპს "იბერკომპანი"
მის: დ. ასპინძა. ერეკლე მეორეს ქ.#4	მის: ქ. თბილისი. ალ. ყაზბეგის #12ა
საიდენტიფიკაციო კოდი 203851509	საიდენტიფიკაციო კოდი 231963818
ტელ: 577 93 13 62	ტელ: 577-22-11-61
ბანკის დასახელება: ლიბერთი ბანკი	ბანკის დასახელება: ლიბერთი ბანკი
ანგ. № GE13LB011141330135010	ანგ. № GE59LB0113185629156000
თავმჯდომარე:	დირექტორი:
ნიკოლოზ ლოლაძე	ზეკა კიკალეიშვილი

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დ.ასპინძა 27 აგვისტო 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, №39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ ლოლაძე და შ.პ.ს. ,,იბერკომპანი" დირექტორი ბექა კიკალეიშვილი, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ №39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, ხელშეკრულება №1/39-ით (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ) გათვალისწინებული საქონლის შესყიდვის განხორციელებაში ზემოთ აღნიშნული მხარეების მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

№39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარე ნიკოლოზ ლოლაძე

შ.პ.ს. ,,იბერკომპანი" დირექტორი ბექა კიკალეიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

8/27/2018

.

ერთის მხრივ, შპს იბერკომპანი (საიდენტიფიკაციო ნომერი 231963818) სახით გადავცემ, ხოლო მეორეს მხრივ №39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია (საიდენტიფიკაციო ნომერი 203851509), ვღებულობ შემდეგი სახეობის და რაოდენობის ტალონებს:

№	დასახელება	საწყისი №	საბოლოო №	ცალი	ლიტრი	ჯამი
1	ევრო რეგულარი	030050003328	030050003387	60	5	300
					ჯამი:	300

მიღებული პროდუქტის ხარისხის და მახასიათებლების მიმართ პრეტენზია არ გამაჩნია

რაზედაც ხელს ვაწერთ:

გასცა:	შპს იბერკომპანი
საიდენტიფიკაციო ნომერი	231963818
პასუხისმგებელი პირი	
ხელმოწერა	

მიიღო:	№39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია
საიდენტიფიკაციო ნომერი	203851509
პასუხისმგებელი პირი	
ხელმოწერა	

№39 ასპინძის 203851509

მიღება-ჩაბარების აქტი

. *8/27/2018*

ერთის მხრივ, შპს იბერკომპანი (საიდენტიფიკაციო ნომერი 231963818) სახით გადავცემ, ხოლო მეორეს მხრივ №39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია (საიდენტიფიკაციო ნომერი 203851509), ვღებულობ შემდეგი სახეობის და რაოდენობის ტალონებს:

№	დასახელება	საწყისი №	საბოლოო №	ცალი	ლიტრი	ჯამი
1	დიზელი	050050001384	050050001415	32	5	160
				ჯამი:		160

მიღებული პროდუქტის ხარისხის და მახასიათებლების მიმართ პრეტენზია არ გამაჩნია

რაზედაც ხელს ვაწერთ:

გასცა: შპს იბერკომპანი

საიდენტიფიკაციო ნომერი 231963818

პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერა _____

მიიღო: №39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია

საიდენტიფიკაციო ნომერი 203851509

პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერა _____

საოლქო საარჩევნო კომისია ცესკო №39 ასპინძის 203851509

ლიბერთი ბანკი

2

0

საგადახდო დავალება N 5146838662

თარიღი 2018 წლის 3 სექტემბერი

GEL
1002.80
თანხა სიტყვიერად

ერთიათას ორი ლარი და 80 თეთრი

გადამხდელის დასახელება: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია,N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია, 203851509

გადამხდელის ანგარიში: GE13LB0118141330135010 ბანკის კოდი: LBRTGE22

გადამხდელის ბანკი: *სს "ლიბერთი ბანკი"*

ინფორმაცია პირის შესახებ, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა

დასახელება: 0

საიდენტიფიკაციო კოდი:

მიმღები დასახელება: *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) იბერკომპანი*

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: GE59LB0113185629156000

მიმღების ბანკი/ხაზინა *სს "ლიბერთი ბანკი"* ბანკის კოდი: LBRTGE22

საიდენტიფიკაციო კოდი: 231963818

გადახდის დანიშნულება: *შეძენილი საწვავის ღირებულება ,თანახმად N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის თავჯდომარის N04/2018 განკარგულებისა*

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი: 3.09.2018

ბანკში შემოსვლის თარიღი: 3.09.2018

ხელმოწერა:

შტამპის ადგილი